ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 17 თებერვლის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 17 თებერვლის სხდომის

ო ქ მ ი №4

დ. ხარაგაული

17 თებერვალი 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე -საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე -განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

გივი თხელიძე საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ვარლამ ჭიპაშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“ -ს თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია „ ძალა ერთობაშია“ -ს თავმჯდომარე.

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ -ს თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია :თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქეთევან ზუმბაძე - ფრაქცია „ ძალა ერთობაშია“ -ს თავმჯდომარის მოადგილე,

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ჯაბა ბერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვისა სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

პეტრე შარიქაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე -საკრებულოს აპარატის იურისტი

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამუნა მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ჟურნალისტი,

ნინო კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ჟურნალისტი

ლაშა ნიქაბაძე - ოპერატორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შემდეგი ნუსხა

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 მარტის სხდომის დღის წესრიგი

დამტკიცების შესახებ **მომხს: მანანა ბარბაქაძე**

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ნოკოლოზ თოფურიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 – 2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ

მომხს: გიორგი ჭყოიძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N 50/62 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზვარეში მდებარე 87 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.1836.206). პირდაპირი განკარგვის, წესით სასყიდლით იჯარის ფორმით ორი წლის ვადით შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალზე“ (ს/კ 404385385) გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბიუროს სხდომის დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ტავმჯდომარის განცხადება, რომ საკითხტა ნუსხის 1-ლი და მე- 2 საკიტხზე მსჯელობა ცვენ გვქონდა მიმდინარეწლის 29 იანვრის საკრებულოს სხდომაზე და ბიუროს მიერ მირებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ორივე საკითხი განხილულიყო 2 მარტის საკრებულოს სხდომაზე. ვინაიდან დღეს ბიურო ამტკიცებს 2 მარტის სხდომის დღის წესრიგს კენჭისყრაზე მინდა დავაყენო საკითხები :

„1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ნოკოლოზ თოფურიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 – 2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი“

შეტანილი იქნეს მიმდინარე წლის 2 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 02 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალოს საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს განიხილონ წარმოდგენილი ანგარიშები და განხილვის შედეგებზე დასკვნა წარმოუდგინონ საკრებულოს.

მიუხედავად ამისა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 – 2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით ბიუროს წევრთა მიერ გამოითქვა მოსაზრებები არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ აღნიშნა, რომ ვგეგმავ კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვის დროს მოვიწვიო იმ სამსახურის ხელმძღვანელები რომელთაც ვერ უზრუნველყვეს მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება და მათგან მოვისმინო პასუხები კითხვებზე, რომელიც მე მიჩნდება ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობის ნაწილში

ვ. ჭიპაშვილმა მიმართა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს კ. გოლუბიანს თუ ექნება მას აუდიტის დასკვნაში ასახულ პრობლემებზე კითხვების დასმისა და პასუხის მიღების შესაძლებლობა მერიის თანამდებობის პირებისაგან

ი. კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი უარყოფითი მომენტებია, ამიტომ გაერთიანებულ სხდომაზე სამსახურებმა უნდა გასცენ პასუხი

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ აუდიტის ანგარიშში არის საკიტხები, რომლებიც სხვა მუნიციპალიტეტების დასკვნების იდენტურია ეს ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ საერთო პოლიტიკაა, რაც შეეხება დელეგირებულ უფლებამოსილების საკითხს თუ დასკვნის რეკომენდაციებს გავითვალისწინებთ ადამიანების გაშვება მოგვიწევს სახლში, საწვავთან დაკავშირებით უნდა განისაზღვროს ხარჯი ასევე წარმომადგენლობითი ხარჯი, ძნელია დეპუტატებმა წარმოადგინონ ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ დასკვნას გულდასმით გაეცნო ,არცერთი დადებითი ფაქტი არ არის, ვინ უნდა აგოს პასუხი, ყველამ უნდა ვისწავლოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობის აღება მე, როგორც კომისიის თავმჯდომარემ და შენ როგორც სამსახურის უფროსმა, ხალხმა სიკეთე უნდა მიიღოს ვიც შეძლებს ამ სიკეთის მიტანას ხალხამდე ის უნდა დარჩეს და ვინც ვერა ის უნდა წავიდეს სახლში.

მ. ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ დასკვნა არის უმძიმესი, გადაგზავნილია პროკურატურაში, ფეხდაფეხ მივყვები დასასჯელი უნდა დაისაჯოს

თ. ავალიშვილმა 2012 წელს წავედით და ჩაგაბარეთ ხელისუფლება, შედეგად რა მივიღეთ 4 -ჯერ გაუარესებული მდგომარეობა, მედავებოდით საწვავზე 1 -ჯერ ვუვლიდი ეკვადორს ახლა 11-ჯერ უვლით გაზეთში წერია, მესმის, რომ ერთად უნდა დავჯდეთ გასაგებია მაგრამ თუ არის გამოსწორებადი.

პ. გოგოლაძემ აღნიშნა როდესაც სახელმწიფო აუდიტმა ანგარიშის პროექტი გადმოუგზავნა მერიას ღამე როგორ გეძინათ, პასუხები არ აქვთო წერია დასკვნაში , მე რომ ეს მცოდნოდა 27 დეკემბერს 2020 წლის

ბიუჯეტს ამ გუნდა არ ჩავაბარებდი. სამსახურის უფროსები მოემზადონ და ჰქონდეთ პასუხები რატომ მივიღეთ ასეთი მძიმე დასკვნა.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კ.გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ - ხომ არ ხედავთ შეუთავსებლობას, რომ მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსს შეუთავსეთ შესყიდვების განყოფილება?

კ. გოლუბიანი - ეს არის დროებითი შეთავსება.

დ. კიკნაძემ -იკითხა, როგორ ხდება ხელფასის გაცემა.

კ. გოლუბიანი - გაიცემა ის თანამდებობრივი სარგო, რომელიც არის მაღალი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 02 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 02 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალა საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას სხდომაზე საკითხის განხილვა და დასკვნის წარმოდგენა.

მოისმინეს : ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის განყოფილების უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N 50/62 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა თუ არის პროექტები, რომელიც ჩვენ მოვიწონეთ, მაგრამ არ შესრულდა,

პ. შარიქაძემ უპასუხა ასეთი 45 პროექტია.

ი.მაღრაძემ აღნიშნა პროექტების სიმრავლე, ხომ არ არის მიზეზი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების, ხომ არ იქნებოდა უკეთესი, რომ პირველ წელს დასრულდეს ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში გათვალისწინებული ყველა პროექტი შემდეგ სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში გადავიდეთ და ა.შ.

მ. ფხალაძემ აღნიშნა, რომ ეს არის დაპირისპირების მიზეზი, რომ ვიწონებთ ამდენ პროექტებს და შედეგი არ არის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 02 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დაევალა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას სხდომაზე საკითხის განხილვა და დასკვნის წარმოდგენა.

მოისმინეს : ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზვარეში მდებარე 87 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.1836.206). პირდაპირი განკარგვის, წესით სასყიდლით იჯარის ფორმით ორი წლის ვადით შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალზე“ (ს/კ 404385385) გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 02 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დაევალა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას სხდომაზე საკითხის განხილვა და დასკვნის წარმოდგენა.

მოისმინეს : ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 02 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დაევალა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას სხდომაზე საკითხის განხილვა და დასკვნის წარმოდგენა.

მოისმინეს : ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 02 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დაევალა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას სხდომაზე საკითხის განხილვა და დასკვნის წარმოდგენა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 მარტის სხდომის დღის წესრიგი.(თან ერთვის)

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 02 მარტის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ნოკოლოზ თოფურიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 – 2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ

მომხს: გიორგი ჭყოიძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N 50/62 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზვარეში მდებარე 87 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.1836.206). პირდაპირი განკარგვის, წესით სასყიდლით იჯარის ფორმით ორი წლის ვადით შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალზე“ (ს/კ 404385385) გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე